სააკაშვილს მხოლოდ ნაციონალები დაამარცხებენ

გაზეთი "ახალი თაობა" – 12 აპრილი, № 86, 2011.

ექსპერტი ლადო პაპავა მიიჩნევს, რომ პოლიტიკური თვალსაზრისით ქვეყანაში სრული შტილია; რომ ქვეყანაში რევოლუციური ფონი არ არის. ვადამდელი არჩევნები კი არც ხელისუფლებას აწყობს და არც ოპოზიციას.

– მთავრობა ბოლომდე გულწრფელი არ არის. პარლამენტში კი, დეპუტატი არ არის, ვინც მთავრობას ნორმალურ კითხვებს დაუსვამს და ჰკითხავს, სად არის 2008 წელს ევროობლიგაციების გზით აღებული 500 მლნ დოლარი, რაში დაიხარჯა ეს ფული? პარლამენტში კაცი არ არის, რომ მთავრობას ამაზე პასუხი მოსთხოვოს და წარმოადგენინოს 2008 წელს გამოშვებული ევროობლიგაციების ანგარიშგება. ეს უნდა იცოდეს პარლამენტმა და ეს უნდა ვიცოდეთ ჩვენ, საზოგადოებამ. იმიტომ, რომ ეს თანხა ჩვენი ფულით უნდა იქნეს გასტუმრებული, – აცხადებს ლადო პაპავა.

შევარდნაძის რა შეცდომას არ გაიმეორებს სააკაშვილი, რატომ მიმდინარეობს კახა ბენდუქიძის "გარეცხვის" პროცესი და რას ნიშნავს სააკაშვილის დაპირებები და გეგმები 2015 წლამდე? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტრვიუს ექსპერტ ლადო პაპავასთან.

– ბატონო ლადო, არსებობს აზრი, რომ ხელისუფლება შემოდგომაზე ვადამდელ არჩევნებს დანიშნავს. ოპოზიცია კი ფიქრობს, რომ წინა რევოლუციური პერიოდია.

– სიტუაცია მარტივად ვერ შეფასდება. მე ვერ ვიტყვი, რომ ოპოზიცია ასე ფიქრობს, რომ წინა რევოლუციური პერიოდია. შეიძლება ვთქვათ, რომ ოპოზიციის გარკვეული ნაწილი ფიქრობს ასე, მაგრამ არა მთლიანად ოპოზიცია. მეორეც, შეიძლება ვინც იძახის, რომ წინა რევოლუციური პერიოდია, ის უფრო იმიტომ იძახის, რომ აზრი შექმნას, რომ ამის პერიოდია. ისე კი პოლიტიკური თვალსაზრისით სრული შტილია. ნაციონალურ მოძაროაბს არაფერი ემუქრება, არის აბსოლუტური სიმშვიდე. მოსახლეობის მხრიდან არის უიმედობა ოპოზიციის მიმართ, რამაც გააძლიერა შიში

ხელისუფლების მიმართ. ფაქტია, რომ ხელისუფლებამ პრაქტიკულად ყველა ოპოზიციურ აქციებში მონაწილე მეტ-ნაკლებად აქტიური ადამიანები და მათი ახლობლები დასაჯა. აქედან გამომდინარე, როცა მოსახლეობა ხედავს, რომ ამ ქმედებებით ოპოზიციამ რეალურ შედეგს ვერ მიაღწია, ის უბრალოდ დაშინებულია. ეს ვითარება კი, რა თქმა უნდა, ყველაზე კომფორტულია ხელისუფლებისთვის.

– სააკაშვილი ისევ ჩვეულ რეჟიმში გააგრძელებს ქვეყნის მართვას?

– რა თქმა უნდა, ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. ვერც კი წარმომიდგენია, რა უნდა მოხდეს ისეთი, რომ პრეზიდენტმა 2011 წელს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები დანიშნოს. ამის არანაირი სიმპტომი არ არსებობს. საპარლამენტო არჩევნები რომ დაინიშნოს, ეს დამატებით სირთულეებს შექმნის: ჯერ არ იქნება ამოქმედებული პარლამენტის ქუთაისში გადატანის საკითხი, თანაც ქუთაისში პარლამენტის შენობა ჯერ დასრულებული არ არის. პარლამენტში სამთავრობო მოსმენებმაც აჩვენა, რომ ნაციონალური მოძრაობა სრულად აკონტროლებს სიტუაციას. არც ოპოზიციას აწყობს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები: ვინც რევოლუციაზე ფიქრობს, მისთვის საპარლამენტო არჩევნები გამოსავალი არ არის, რადგანაც რევოლუცია ნიშნავს სააკაშვილი რეჟიმის დამხობას, ხოლო ის პარტიები, რომლებიც წინასაარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე მუშაობენ, არჩევნებისათვის ისინიც არ არიან ჯერ-ჯერობით მზად. იმიტომ, რომ არც წინასაარჩევნო გარემოა შეცვლილი და არანაირ პერსპექტივაზე ჯერ საუბარიც არ არის. აქედან გამომდინარე, იმ მეტ-ნაკლებად კონსტრუქციულ რვა პარტიასაც არ აწყობს 2011 წელს არჩევნები. ასე, რომ ვადამდელი არჩევნები არავის აწყობს, არც ნაციონალებს სჭირდება და არც ოპოზიციას.

– ინფორმაცია ჩნდება, რომ გარკვეული მოქმედებები ხელისუფლების შიგნით უკვე იგრძნობა და რომ გიგა ბოკერია და კახა ბენდუქიძე პოსტსააკაშვილისეული პერიოდისთვის ემზადებიან. შიდასახელისუფლო რღვევას გამორიცხავთ?

– მეც საუბრის გარდა, არაფერი მსმენია. არ შემიმჩნევია, რაიმე დაპირისპირება რომ ხდებოდეს ნაცმოძრაობის გუნდში. ეს უფრო ჭორებს ჰგავს, იგივეა ბოკერია-ბენდუქიძის ალიანსი სააკაშვილის წინააღმდეგ. თუმცა თეორიულად არაფერი გამორიცხული არ არის, ვიდრე რეალობა. ამიტომ

ახლა ამაზე საუბარი მენამდვილად არ შემიძლია და არ ვთვლი მიზანშეწონილად. თუმცა ერთი რამეა: დღევანდელი ვითარებისდან გამომდინარე არცერთ პოლიტიკურ პარტიას არ შესწევს უნარი ნაცმოძრაობა დაამარცხოს. ნაციონალური მოძრაობის დამამარცხებელი არის თვითონ ნაციონალური მოძრაობა. თუკი ნაციონალური მოძრაობაში გაჩნდება ნაპრალი, ეს რაღაცაზე მიანიშნებს. სააკაშვილის დამამარცხებელი თვითონ სააკაშვილია. როდესაც მან 2009 წლის საპროტესტო აქციების წინ თქვა, მე რომ ოპოზიციაში ვიყო, ამ რეჟიმს 3 თვეში დავამხობდიო, მან სიმართლე თქვა. სულით ოპოზიციონერ სააკაშვილს შეუძლია პრეზიდენტი სააკაშვილი ჩამოაგდოს. სხვა მისი ჩამომდგები, არავინაა. ხოლო ნაციონალურ მოძრაობაში თუ განხეთქილება დაიწყო, ეს იქნება რეჟიმის დასასრული. შეგახსენებთ, მოქალაქეთა კავშირის დასუსტება დაიწყო მაშინ, როდესაც შევარდნაძე გადადგა მოქკავშირის თავმჯდომარეობიდან. ვეჭვობ, სააკაშვილმა გაიზიაროს შევარდნაძის ეს სერიოზული შეცდომა. შევარდნაძემ თავის თავს განაჩენო გამოუტანა, მაშინ როცა გადადგა მოქკავშირის თავმჯოდმარეობიდან. ასეთ შეცდომას სააკაშვილი ნამდვილად არ დაუშვებს. ახლა ჩვენ ვართ საინტერესო პროცესში. დღეს მიდის კახა ბენდუქიძის "გარეცხვის" პროცესი. ამას ხელს უწყობს აბსოლუტურად ყველა. განსაკუთრებით ნაციონალური არხები. რამოდენიმე წელიწადში ბენდუქიძე, როგორც ზურაბ ჟვანია იტყოდა, იქნება ერთი ბუნჩულა, საყვარელი, სხარტად მოაზროვნე კარგი ექსპერტი. ყველას უნდა დაავიწყონ ბენდუქიძე ვინ და რა იყო...

– ხალხის შიმშილი და მძიმე სოციალური ფონი აიძულებს სააკაშვილს კომპრომისებზე წავიდეს?

– გამოსავალი მარტო პოლიტიკურ აქტიურობაში არ არის. გამოსავალი არის სხვა რამეშიც. მაგალითად, ხალხი უნდა დააშინო სხვადასხვა რამით. მაგალითად, დააშინო ხალხი ისე, როგორც აშინებდნენ 19 მარტით. გაიხსენეთ, ჩვენი მასმედია როგორი შიშის მდგომარეობაში ამყოფებდა საზოგადოებას, რომ მთვარე დაუახლოვდება დედამიწას და ხომ მოხდება რაც ცუდიო... გამოყავდათ სერიოზული და ნახევრად სერიოზულები მეცნიერები, თუ შარლატანები და და რაღაცეებზე ალაპარაკებდნენ. იბეჭდებოდა ამაზე გაზეთებში. მერე გავრცელდა, რომ აგერ მოდის 2012 წელი, რომ ნოსტრადამუსს აქვს რაღაც ნათქვამი და ამ რაღაც ცუდს უნდაველოდოთ. ახლა აქტიურად ალაპარაკდნენ იმაზე, რომ კავკასიონზე მყინვარები დნება და

რომ ამის გამო ხომ არ არის საფრთხე კავკასიის ვულკანებმა გაიღვიძონ. ასე, რომ ხალხი სულ შიშში უნდა ამყოფონ. ამავდროულად კეთდება აქცენტი სხვადასხვა გასართობ გადაცემებზე. ამიტომ დღეს მთავრობას იმისთვის, რომ ხალხი გაართოს არჩევნები არ სჭირდება. ხალხის ტვინი რომ სხვა რამით დაკავდეს, საკმარისია ტელეეთერით აჩვენო გასართობი და არაფრის მომცემი გადაცემები და ან კიდევ მოსალოდნელი ბუნებრივი კატაკლიზმებით დააშინო. ბუნებაც გვაძლევს ამის საშუალებას, მაგალითად, იცით რაც მოხდა იაპონიაში. ინტენსიურად შუქდება რა საფრთხე გველის სომხეთის ატომური ელექტროსადგურიდან. გველის თუ არა საფრთხე? მართლა გველის. ჩვენი ნაციონალური არხები სულ უფრო ხშირად ილაპარაკებენ ამაზე, რათა ხალხი შიშში ყავდეთ.

– საპარლამენტო გამოსვლისას პრეზიდენტმა ხელისუფლების გეგმებზე 2015 წლამდე ისაუბრა. შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა რა პერსპექტივას უქადის სააკაშვილს 2015 წლამდე?

– მოდით სერიოზულად ვილაპარაკოთ. 2015 წელს სააკაშვილი ხელისუფლებაში რომც იყოს, ფიქრობთ, რომ ვინმე გაიხსენებს, რას შეპირდა ის ქვეყანას 2011 წელს და ამისთვის ის პასუხს აგებს? არა. ეს ყველაფერი სხვა რამისთვის არის ნათქვამი. ჯერ ერთი, ნათქვამია იმისთვის, რომ საზოგადოება შეაჩვიოს, რომ ისევ ის იქნება; და მეორე – 2013 წელს ახალი კონსტიტუციით პრემიერ-მინისტრობას რომ დააპირებს, ვინმემ რომ კითხვა დასხვას: რასაც შეგვპირდი, რა გააკეთეო, ვაკეთებ, ჯერ ხომ 2015 წელი არ არისო, უპასუხებს. თორემ, თუ ის დარჩა პრემიერ-მინისტრად, დამერწმუნეთ, არც არავის გაახსენდება 2011 წელს სააკაშვილის დანაპირები და არც თვითონ ისაუბრებს ამ თემაზე. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჩვენი საზოგადება, პოლიტიკოსებიც, ჟურნალისტებიცა და ექსპერტებიც, სამწუხაროდ, "გულმავიწყები" არიან. ამიტომ ახლა სერიოზული არ არის ვილაპარაკოთ, მართლაც რას ელის სააკაშვილი 2015 წლისათვის.

– მოდით ქვეყნის ბიუჯეტზე და საგარეო დაფინანსებებზე ვისაუბროთ. ფაქტია, გარე დახმარებები შემცირდა. სერიოზული ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდება ქვეყანა?

– გარე დახმარება კი ჩერდება, რომელიც საქართველომ მიიღო 2008 წელს, მაგრამ ახალი დახმარება მაინც იქნება. ისეთი მასშტაბური არა,

როგორიც იყო, მაგრამ მაინც იქნება. და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ: იმ 4,5 მლრდ-დან, რაც საქართველომ მიიღო, 2 მლრდ დაუხარჯავია, ანუ საქართველოს მთავრობას უახლოეს პერიოდში ამ კუთხით პრობლემები არ ექნება. სერიოზული პრობლემა ჩვენ გვაქვს 2013 წელს მსხვილი საგარეო ვალის მომსახურების კუთხით. საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ უკვე 2011 წელს გამოუშვას ახალი ევროობლიგაციები, 2008 წელს გამოცემული ევროობლიგაციების დასაფარად. ვიწონებ, რომ ამას 2011 წელს აკეთებენ, რადგან 2013 წელი პოლიტიკურად არჩევნების წელია. 2011 წელი კი პოლიტიკურად მშვიდია და ამიტომ ევროობლიგაციების რეფინანსირების ეხლა განხორციელება უკეთესია.

– ამ მხრივ ყველაფერი ნათელია?

– აქ არის ბუნდოვანება. სამწუხაროდ, მთავრობა არ იძახის 2011 წელს გამოშვებული ეს ობლიგაციები 2011 წელსვე წავა ძველი ვალდებულებების რეფინანსირებაში თუ რა მოხდება. აი, აქ არ არის მთალად ნათელი სიტუაცია. თუ ამ ფულს ჯერ გააჩერებენ, რატომ აჩერებენ, ეს პროცენტი ხომ გვერიცხება? სამწუხაროდ, მთავრობა ბოლომდე გულწრფელი არ არის. პარლამენტში კი, სამწუხაროდ, დეპუტატი არ არის, ვინც მთავრობას ნორმალურ კითხვებს დაუსვამს. პირველი კითხვა უნდა იყოს: სად არის 2008 წელს ევროობლიგაციების გზით აღებული 500 მლნ დოლარი, რაში დაიხარჯა ეს ფული? პარლამენტში ფრაქცია არ არის, კაცი არ არის, რომ მთავრობას ამაზე პასუხი მოსთხოვოს და მთავრობას წარმოადგენინოს 2008 წელს გამოშვებული ევროობლიგაციების ანგარიშგება. ეს უნდა იცოდეს პარლამენტმა და ეს უნდა ვიცოდეთ ჩვენ – საზოგადოებამ. იმიტომ, რომ ეს თანხა ჩვენი ფულით უნდა იქნეს გასტუმრებული.

– ბატონო ლადო, ზემოთ გულწრფელობა ახსენეთ. გულწრფელობა აკლია იმას, რაც ლართან მიმართებაში ხდება?

– ლართან მიმართებაში ძალიან მარტივი რამ ხდება. ლართან მიმართებაში ეროვნული ბანკი იყენებს თავის ინსტრუმენტს, რომ ინფლაცია კიდევ უფრო მაღლა არ გაიქცეს. ამისთვის საჭიროა, რომ ლარის მასა მიმოქცევიდან იქნეს ამოღებული. ლარის მასა მცირდება მიმოქცევაში და იგივე ოდენობის დოლარების მიმართ ნაკლები ლარია და შედეგად ლარი მყარდება.

– ეს გასაგებია, თუმცა პროდუქციაზე ფასები ინტენსიურად იზრდება.

– ერთი მეორეს არ გამორიცხავს. ლარი რომ არ გამყარდეს, ფასები კიდევ უფრო მეტად გაიზრდება. ეროვნულ ბანკს აბსოლუტურად სწორი პოლიტიკა აქვს. ინფლაციის თემა რომ მოსახლეობისთვის გასაგები იყოს, დეტალურად ავხსნათ. ინფლაცია – ეს არის ფასების დონის ზრდა სამომხმარებლო საქონელზე. სამომხმარებლო საქონელი კი იყოფა ორ ნაწილად: სასურსათო და არასასურსათო საქონელად. სურსათზე ფასების ზრდა გამოწვეულია ძირითადად იმ ფაქტორებით, რაც მსოფლიოში ხდება და იმ ჩავარდნით, რომელიც სოფლის მეურნეობაში გვაქვს. შეიძლება ინფლაციის ერთი და იგივე დონის პირობებში სასურსათო საქონელზე ფასები გაიზარდოს, არასასურსათო კი გაიაფდეს. ჩვენთვის კვების პროდუქტები ძვირდება, ხოლო, მაგალითად, ტელევიზორი იაფდება. თუმცა ეს დიდი ვერაფერი შეღავათია, თუმცა ამით შეიძლება ინფლაცია არ გაიზარდოს.

შორენა კოწოწაშვილი